საიდ. №70448/03

IR 1142448

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №45-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ე. (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, მ. ბ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2014 წლის 22 მაისის №ა-166 წერილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა „ჟოზე ეიზენბერგ”-ის (José EISENBERG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №45-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 24 იანვრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №50/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „JOSÉ EISENBERG PARIS” (საიდ. №70448/03 IR 1142448) დაცვის მინიჭება საქართველოში შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: Class 03 - Bleaching preparations and other substances for laundry use; cleaning, polishing, degreasing and abrasive preparations; soaps, and more specifically shower gels, bath gels, shower creams, bath creams, shampoos; perfumery, and more specifically perfumes, fragrances, deodorants; essential oils; cosmetics, and more specifically

cosmetic preparations for slimming purposes, beauty masks, skin whitening creams, make-up removing products, oils for cosmetic use; make-up products and more specifically lipsticks, lip gloss, pencils for cosmetic use, make-up, mascara, nail polish, make-up powders, make-up foundation; hair lotions; hair sprays; dentifrices. All aforesaid goods are made in France. Class - 25 Clothing, underwear, footwear, headgear, tights, stockings, bodysuits, t-shirts, scarves, pareos. All aforesaid goods are made in France (მე-3 და 25-ე კლასები). საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 24 იანვრის №50/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „JOSÉ EISENBERG PARIS" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხარებელს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ მიმართ. კერძოდ განმცხადებელი ფიზიკური პირი წარმოდგენილია მონაკოდან, ხოლო სასაქონლო ნიშანი მიანიშნებს, რომ საქონელი არის საფრანგეთიდან, კერძოდ კი პარიზიდან. ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის მომხმარებლისშეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-3 და 25-ე კლასების საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ, სასაქონლო ნიშნის ძირითადი ნაწილი "JOSÉ EISENBERG" არის განმცხადებლის სახელი და გვარი. ამასთან ჟოზე აიზენბერგი, აღიარებულია კოსმეტიკისა და პარფიუმერიის ფრანგ მკვლევარად, რომელიც 25 წელზე მეტია მოღვაწეობს ამ სფეროში. ხანგრძლივი კვლევითი და კლინიკური გამოცდების შედეგად მის მიერ ბუნებაში აღმოჩენილია და კოსმეტოლოგიასა და პარფიუმერიაში გამოყენებულია ეგრეთ წოდებული სამმოლეკულიანი ფორმულა, რის თაობაზეც მიღებული აქვს რამდენიმე პატენტი გამოგონებაზე. აპელანტის პოზიციით, სასაქონლო ნიშანი „JOSÉ EISENBERG PARIS" თითქმის ორი ათეული

წელია ამ სახით დამკვიდრდა ევროპისა და აზიის ბაზარზე და გახდა ცნობადი მომხმარებლისათვის. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ის რეგისტრირებულია შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებაში არა მხოლოდ ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმის საფუძველზე, არამედ სხვა ქვეყნებიდან შეტანილი განაცხადების საფუძველზე. ამ ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილია ამონაბეჭდები შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების სასაქონლო ნიშნების ბაზიდან. სააპელაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ქვეყნების გარდა საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „JOSÉ EISENBERG PARIS" IR 1142448 მიენიჭა დაცვა მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც; სინგაპური, სამხრეთ კორეა, ბენილუქსის ქვეყნები, ისლანდია, სან-მარინო, მონტენეგრო, აშშ, უკრაინა. ამ ქვეყნების საპატენტო უწყებებმა არ ჩათვალეს, რომ ნიშანში საფრანგეთის დედაქალაქის სახელის "PARIS" არსებობამ შეიძლება ამ ქვეყნების მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს საქონლის წარმოშობის ადგილის მიმართ. აპელანტის განმარტებით, ყველა მისი საწარმო, სადაც მზადდება მე-3 და 25-ე კლასების საქონელი, განლაგებულია საფრანგეთში, გარდა კომპანიის სათავო ოფისისა, რომელიც მდებარეობს მონაკოში და საფრანგეთიდან ხორციელდება მათი ექსპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. აპელანტის პოზიციით, მისი კომპანია ჟოზე ეიზენბერგ ს.ა. არის წევრი საფრანგეთის სილამაზის ინდუსტრიის ფედერაციისა "FEBEA", რომელიც მდებარეობს პარიზში. მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით აპელანტი თანახმაა შეზღუდოს საქონლის ჩამონათვალი და ჩამოაყალიბოს ის შემდეგი სახით: Class 03 - Bleaching preparations and other substances for laundry use; cleaning, polishing, degreasing and abrasive preparations; soaps, and more specifically shower gels, bath gels, shower creams, bath creams, shampoos; perfumery, and more specifically perfumes, fragrances, deodorants; essential oils; cosmetics, and more specifically cosmetic preparations for slimming purposes, beauty masks, skin whitening creams, make-up removing products, oils for cosmetic use; make-up products and more specifically lipsticks, lip gloss, pencils for cosmetic use, make-up, mascara, nail polish, make-up powders, make-up foundation; hair lotions; hair sprays; dentifrices. All aforesaid goods are made in France. Class - 25 Clothing, underwear, footwear, headgear, tights, stockings, bodysuits, t-shirts, scarves, pareos. All aforesaid goods are made in France.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები

და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ".

სააპელაციო პალატა იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი არის არა იურიდიული პირი, არამედ ფიზიკური პირი, რომელიც არ არის შეზღუდული საქონლის წარმოების ადგილით. მონაკოში შეიძლება ცხოვრობდეს, მაგრამ პროდუქციას აწარმოებდეს სხვა ნებისმიერ ქვეყანაში. განცხადებული ნიშანი „JOSÉ EISENBERG" წარმოადგენს განმცხადებლის სახელსა და გვარს, ხოლო რაც შეეხება მონაკოს იგი დაკავშირებულია საფრანგეთთან, რადგან, მონაკო 1861 წელს გახდა დამოუკიდებელი საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ, მონაკოს სამხედრო თავდაცვას დღემდე ახორციელებს საფრანგეთის რესპუბლიკა, სალაპარაკო ენას წარმოადგენს ფრანგული და ა.შ. ამასთან, განმცხადებელმა შეზღუდა მე-3 და 25-ე კლასის ჩამონათვალი, სადაც აღნიშნულია, რომ მე-3 და 25-ე კლასით განცხადებული ყველა პროდუქტი არის წარმოებული საფრანგეთში. აღნიშნული შეზღუდვის გათვალისწინებით, ვინაიდან ჩამოთვლილ საქონელში პირდაპირ არის მითითებული საქონლის წარმოების ადგილი სასაქონლო ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „PARIS" არ შეიყვანს მომხმარებელს შეცდომაში საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „JOSÉ EISENBERG PARIS" (საიდ. №70448/03 IR 1142448) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „ჟოზე ეიზენბერგი”-ის (José EISENBERG) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 24 იანვრის №50/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „JOSÉ EISENBERG PARIS” (საიდ. №70448/03 IR 1142448) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-3 და 25-ე კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: Class 03 - Bleaching preparations and other substances for laundry use; cleaning, polishing, degreasing and abrasive preparations; soaps, and more specifically shower gels, bath gels, shower creams, bath creams, shampoos; perfumery, and more specifically perfumes, fragrances, deodorants; essential oils; cosmetics, and more specifically cosmetic preparations for slimming purposes, beauty masks, skin whitening creams, make-up removing products, oils for cosmetic use; make-up products and more specifically lipsticks, lip gloss, pencils for cosmetic use, make-up, mascara, nail polish, make-up powders, make-up foundation; hair lotions; hair sprays; dentifrices. All aforesaid goods are made in France. Class - 25 Clothing, underwear, footwear, headgear, tights, stockings, bodysuits, t-shirts, scarves, pareos. All aforesaid goods are made in France.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების

გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ე.
წევრები:	ლ. ახობაძე
	მ. ბ.